პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის _____ ნოემბერი, ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების დანართი - ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების მშენებლობის პროექტი ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული რედაქციით.
2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილია ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) განხორციელება. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973 განკარგულებით მოწონებული იქნა ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტი განკარგულებით (ცვლილება: განკარგულება №გ-15.15233534, 19.12.2023წ)

კორექტირებული პროექტი მოიცავს კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ ქონებებს კორექტიურებულ პროექტზე მიღებულია ააიპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს 2024 წლის 09 დეკემბრის №90-1424344585 წერილი.

პროექტი ითვალისწინებს ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეულ, კერძო და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ათვისებას (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა), რაც უნდა განხორციელდეს მესაკუთრეებთან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. ასათვისებელი, უძრავი ქონების მესაკუთრეებს კომპენსაციის სახით უნდა აუნაზღაურდეთ მათი საბაზრო ღირებულება, ან გადაეცეს საცხოვრებელი ფართი (ტოლფასოვნად), „საქართველოს კონსტიტუციის“ და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა და ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების მშენებლობის პროექტის ახალი რედაქციით დამტკიცება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელება- მშენებლობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ნაწილობრივ; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ბინები) - ღირებულებით.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი გავკლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან: „საქართველოს კონსტიტუცია“, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროები-სათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები და ორგანიზაციები.

ე) პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**


5
630
164
76
304
14
284